

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სპეციალობა: სასტუმრო საქმისწარმოება

კვალიფიკაცია: სასტუმრო საქმისმწარმოებელი

პროფესიული განათლების საფეხური - IV

პროგრამის ხანგრძლივობა: 10 თვე

პროგრამის მოცულობა - 60 კრედიტი

სპეციალობის კოდი: 020553

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

1. სრული პროფესორი როსტომ ბერიძე
2. CIM ექსპერტი კურტ ჰეინც რაიც
3. BA მაგისტრი ირაკლი კორძაია

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

სასტუმრო საქმისწარმოება

II. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სასტუმრო საქმისმწარმოებელი

III. პროფესიული განათლების საფეხური - IV

IV. პროგრამის მოცულობა

პროფესიული დიპლომის მოსაპოვებლად კურსდამთავრებულმა უნდა მოაგროვოს შესაბამისად არანაკლებ 60 კრედიტისა (1 კრედიტი-25სთ.).

60 კრედიტიდან - 24 კრედიტი (600 სთ.) ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 36 (900 სთ.) კრედიტი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამის პროფესიული სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ, დადგენილი წესით.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სასტუმრო საქმისწარმოების (მიღება-რეცეფცია) სპეციალობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და ამოცანები მჭიდროდ უკავშირდება რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, კერძოდ მოამზადოს დიდი სასტუმროს ამა თუ იმ დეპარტამენტის სუპერვაიზერის და /ან ცვლის უფროსის (მიღება - განთავსების - "ფრონტ ოფისი", ჰაუზკიპინგის, დაჯავშნის, გაყიდვების- "ბექ ოფისი", კონსიერჟის სამსახური, სტიუარდინგი ღონისძიებათა სამსახური) პოზიციისათვის სპეციალისტები.

პროგრამის მიზანია პროფესიისათვის საჭირო ცოდნის გარდა კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს მიღება-განთავსებისა და დაჯავშნის სპეციალისტისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- სასტუმროები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით;
- სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხი;
- პროფესიული სტუდენტების წარმატებული კარიერისა და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და ა.შ.
- პროფესიული სტუდენტებისათვის უნარ-ჩვევების გამომუშავების უზრუნველყოფა დამსაქმებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დასაქმების სფერო

დასაქმების პროფილიდან გამომდინარე, სასტუმროს საქმისმწარმოებელი სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სასტუმრო ობიექტებში: სასტუმრო ბრენდები, დიდი, საშუალო და მცირე ზომის სასტუმროები, "გესტ ჰაუსები", დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, საკურორტო კომპლექსები, საკრუიზო გემები.

VII. სწავლის შედეგი

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს</p>	<p>ფლობს მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სასტუმრო საქმისმწარმოებლის ცოდნას;</p> <p>პროფესიული სტანდარტის მიხედვით სასტუმროს საქმისმწარმოებლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია გულისხმობს სასტუმროს სფეროსთვის დამახასიათებელი პროცესების, პრინციპებისა და კონცეფციების საფუძვლიან ცოდნას;</p> <p>მარკეტინგის, გაყიდვების, რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპებისა და სტუმართმასპინძლობის ეტიკეტის ცოდნას. სასტუმროს მენეჯმენტის ფუნქციონირების პრინციპების, მათ შორის კვებისა და სასმელების მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა;</p> <p>მის პირდაპირ მოვალეობაშია მასზე დაქვემდებარებული პერსონალის ზედამხედველობა და მათთვის სამუშაოს დაგეგმვა-განაწილება, კონტროლი სამუშაოს შესრულებაზე;</p> <p>ზოგიერთ ობიექტზე უფლებამოსილების ფარგლებში ითავსებს ადმინისტრაციული და კადრების მენეჯერის ფუნქციას, უძღვება კადრების მომზადება-გადამზადებისა და მათი მუშაობის ხარისხის შეფასების პროცესს. ფლობს დაქირავების, კადრების სათანადო მომზადების და მუშაობის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდებს.</p> <p>იცის: სტუმართმასპინძლობის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები; სასტუმრო ბიზნესი და მისი მართვა; სარესტორნო ბიზნესი და სასტუმროებში კვების ობიექტების მუშაობის სპეციფიკა; კადრების დაქირავების და ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები; სასტუმროს პერსონალის მართვის ძირითადი პრინციპები; რეალიზაციისა და მარკეტინგის საფუძვლები: სასტუმროს გაყიდვების ტექნიკა, სერვისის რეკლამირება, სტუმართა მოზიდვა; გესტ ჰაუსების, საოჯახო სასტუმროების /B&B/ და მცირე ზომის სასტუმროების ადმინისტრირება და მართვა; საკურორტო ზონის სასტუმროების და დასასვენებელი კომპლექსების ფუნქციონირების სპეციფიკა და ადმინისტრირება; სარესტორნო მარკეტინგის საფუძვლები; ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლები; საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები; კონფლიქტოლოგიის საფუძვლები; ბიზნესის წარმოების და სამეწარმეო სამართლის საფუძვლები; საქართველოს გეოგრაფია, ისტორია, კულტურა, ხელოვნება და ტრადიციები / ინფორმაციულ დონეზე/.</p> <p>გადაადგილების საშუალებები და ტრანსპორტი.</p> <p>სასტუმროს მენეჯერის ან ამა თუ იმ დეპარტამენტის მენეჯერის უშუალო ხელმძღვანელობით აწარმოებს სასტუმროს ამა თუ იმ დეპარტამენტის მუშაობაზე ზედამხედველობას;</p> <p>პასუხისმგებელია ობიექტის ამა თუ იმ დეპარტამენტის თანამშრომელთა ყოველდღიურ მუშაობაზე და სამუშაოთა კოორდინირებაზე.</p> <p>იცის სასტუმროში გამართულ ღონისძიებათა ორგანიზება: კონფერენციების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;</p>
---	---

		<p>გასართობი ღონისძიებებისა და სხვა აქციების ორგანიზება; ოფიციალური მიღებების, ფურშეტების, კოკტილის სადამოების, ბანკეტების, წვეულებებისა და სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება; სასტუმროს რეკლამირებისათვის აქციების მოფიქრება და ორგანიზება; იცის მოლაპარაკებების წარმოება დამკვეთებთან, სხვადასხვა სახის სერვისის შეთავაზება, ობიექტის რეკლამირება და მომხმარებელთა მოზიდვა. იცის დღიური გაყიდვების სტატისტიკის წარმოება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით</p>	<p>შეუძლია:</p> <p>სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების შესრულებაზე კონტროლი, რეგისტრაციის სამსახურის თანამშრომელთა ზედამხედველობა და კონტროლი;</p> <p>რეცეფციის თანამშრომელთათვის სამუშაო განრიგის შედგენა; სასტუმროს დაჯავშნის სამსახურის თანამშრომელთა ზედამხედველობა და კონტროლი;</p> <p>რეზერვაციის თანამშრომელებისათვის სამუშაო განრიგის შექმნა; სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;</p> <p>სტუმრების განთავსების გეგმის შედგენა;</p> <p>სტუმრების ჩამოსვლის გეგმა-პროგნოზების შედგენა;</p> <p>დასუფთავების სამსახურის ზედამხედველობა, დასუფთავების პროცედურების შესრულების კონტროლი;</p> <p>სტუმრის მომსახურების სტანდარტების დაცვაზე კონტროლი;</p> <p>სერვისის ხარისხის კონტროლი;</p> <p>სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზედამხედველობა;</p> <p>უსაფრთხოების დაცვაზე ზედამხედველობა;</p> <p>სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური გეგმიური შემოწმების ჩატარება;</p> <p>რეალიზაციის დაგეგმვა და განხორციელება;</p> <p>მცირე ზომის სასტუმროების და გესთ ჰაუსების ადმინისტრირება;</p> <p>კადრების დაქირავების პროცესში მონაწილეობის მიღება;</p> <p>კადრების მომზადება და გადამზადება;</p> <p>ტრენინგების ჩატარება;</p> <p>კადრების სათანადო მომზადების და მუშაობის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება;</p> <p>სტაჟიორებისათვის რეკომენდაციების შედგენა;</p> <p>ახალი თანამშრომელებისათვის თანამდებობრივი ინსტრუქციების გაცნობა, რჩევებისა და გამოცდილების გაზიარება;</p> <p>სამუშაოს განაწილება თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად;</p> <p>პერსონალისათვის ყოველდღიური სამუშაო განრიგის შედგენა;</p> <p>დაქვემდებარებული თანამშრომელების ხელმძღვანელობა და მუშაობის პროცესის გაძლიერება;</p> <p>ნამუშევარი საათების დათვლა და ტაბელების წარმოება;</p> <p>შეხვედრების წარმართვა, სამუშაო განრიგის განხილვა, სტუმართა საჩივრების განხილვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საჭიროებების განსაზღვრა.</p> <p>საუზმისა და შვედური მაგიდის მომსახურების ზედამხედველობა;</p> <p>სასტუმროს ნომრებში მომსახურების ზედამხედველობა;</p> <p>ბიზნეს გეგმის შედგენა.</p> <p>მუშაობის რესტორანთან, სამზარეულოსთან, მომარაგების განყოფილებასთან, ქიმიკენდასთან და სამრეცხაოსთან კოორდინირება;</p> <p>სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და მომსახურების ზედამხედველობა;</p> <p>სამუშაო ინტერიერის დაგეგმვა და დიზაინის ორგანიზება;</p> <p>სამეურნეო საშუალებების შეკვეთა, მიღება და დაბინავება;</p> <p>სასაწყობე ადგილების მომზადება;</p>

		<p>ინვენტარიზაციის ჩატარება; განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მომხმარებელთა მომსახურება; ახალი ტექნოლოგიების, დარგის სიახლეების თანამედროვე მიღწევების დანერგვა;</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი</p>	<p>შეუძლია პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომების შემუშავება, სხვადასხვა შესაძლებლობების განხილვა და მათგან ყველაზე ოპტიმალურის ამორჩევა, მიღებული შედეგის ანალიზი; შემუშავებული აქვს მუშაობის საკუთარი სტილი. შეუძლია მენეჯერისა მითითებების და შენიშვნების, კოლეგების მოსაზრების და რჩევის მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან ან საინტერესო ინოვაციასთან დაკავშირებით. აქვს პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარი, შეუძლია პრობლემების შეფასება ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა - შეუძლია კონფლიქტურ ან სხვა კრიტიკულ სიტუაციაში ეფექტურად მოქმედება, შეუძლია დამოუკიდებლად გადაჭრას სასტუმროში წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემა, შეუძლია ამა თუ იმ ქმედებების დადებითი და უარყოფითი მხარეების განჭვრეტა, განსჯა, ინფორმაციის გაანალიზება და მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა; სტუმრებთან გადახდის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში შინაგანაწესის ახსნა-განმარტება, ფასდაკლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; თანამშრომლების გაცდენის ან დაგვიანების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; უკმაყოფილო მომხმარებლის ან მომხმარებელთა მოზღვავეების შემთხვევაში მომსახურების პრობლემის მოგვარება; მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული მომხმარებლის საჩივრის შემთხვევაში, მომხმარებლის კეთილგანწყობის შენარჩუნება და პრობლემის აღმოფხვრა; მომხმარებლის ასაკის, მდგომარეობის განსაზღვრა და მომსახურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. შეუძლია ტექნიკური პრობლემების მოგვარება; უნდა გააჩნდეს საკუთარი და სხვების სამუშაოს ორგანიზების და სწორედ დაგეგმვის უნარი; უნდა შეძლოს როგორც გუნდში, ასევე დამოუკიდებლად მუშაობა; უნდა შეეძლოს სამუშაოსთვის დამახასიათებელი განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება; ამოცანების გადასაწყვეტად გარკვეული მიდგომების შემუშავება და მიღებული შედეგების ანალიზი;</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების</p>	<p>შეუძლია ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის გაგება, გააზრება, მოძიება. საზოგადოებასთან ურთიერთობა, მომხმარებელთან, კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; გამართული მეტყველება და არტიკულაცია; საუბრისას ინფორმაციის გასაგებად გადმოცემა, სატელეფონო საუბრების წარმართვა; სათანადო კომუნიკაცია პრეტენზიულ მომხმარებელთან, მენეჯერთან ფუნქციების განაწილების თაობაზე მოლაპარაკება; თანამშრომლობა პერსონალთან და შესაბამისი დირექტივების მიცემა; კომუნიკაცია სასტუმროს ნებისმიერი რგოლის პერსონალთან; მათი თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება; წარმოქმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალური და</p>

	<p>დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება</p>	<p>ამომწურავი მიწოდება. შეძლოს სამუშაოს გაუმჯობესებაზე კარგად დასაბუთებული მოსაზრებების ჩამოყალიბება; ცვალებად გარემოსა და სიტუაციებისადმი შეგუება, სამუშაო პროცესებისა და პროდუქციის გაუმჯობესებისათვის დისკუსიებში მონაწილეობა და წინადადებების შეთავაზება; ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია დარგის პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება; შეუძლია ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში, სპეციალურ ლიტერატურასა და კოლეგების გამოკითხვის გზით; მუდმივად და ეფექტურად იღებს ინფორმაციას სფეროში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ჟურნალებიდან, სახელმძღვანელოებიდან, წიგნებიდან და სპეციალური ინტერნეტ გვერდებიდან. ფლობს უცხო ენას (ინგლისური) საკომუნიკაციო B2 დონეზე. შეუძლია დიალოგის წარმართვა და ენის პრაქტიკული გამოყენება;</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ, ცვალებად ვითარებაში</p>	<p>შეუძლია კურიკულუმით განსაზღვრული პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა, ნასწავლი მასალის გადმოცემა, შეფასების მიღება. შეუძლია ლიტერატურის და სხვადასხვა წყაროების მოძიება, დამუშავება და ანალიზი, საკუთარი სწავლის დაგეგმვა, სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების უზრუნველყოფა.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად</p>	<p>სრულყოფილად და საფუძვლიანად იცნობს სასტუმრო სერვისის სფეროს, მომსახურების არსს და სტუმარმასპინძლობის ძირითად პრინციპებს, პროფესიული ეთიკის ძირითად პრინციპებს, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა, ახასიათებს ორგანიზებულობა, დისციპლინა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა, საკუთარი და სხვისი ფუნქციების და მოვალეობების გაცნობიერება, კონსტრუქციული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან და პერსონალთან, სხვისი დახმარება, საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა; გულისყურით ეკიდება სტუმრის თხოვნას; კრიტიკულ სიტუაციაში არ კარგავს მობილიზაციის უნარს და მაქსიმალურად ცდილობს მომხმარებლის დაკმაყოფილებას.</p>

VIII. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები /მოდულები/პრაქტიკა	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერე ბა	ცოდნის პრაქტიკაში ი გამოყენებ ის უნარი	დასკვნისა გაკეთების უნარი	კომუნიკაცი ის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულ ებები
ინგლისური ენა		×		×		
ტურიზმისა და მასპინძლობის საფუძვლები	×	×	×		×	×
სასტუმროს მენეჯმენტი	×	×	×		×	×
სარესტორნო ოპერაციების მენეჯმენტი	×	×	×		×	×
სასტუმროს მენეჯმენტის სისტემა - Opera		×	×	×		
სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	×	×		×		×
ბიზნესის ეთიკა და ეტიკეტი	×	×		×		×
სასწავლო პრაქტიკა		×	×	×	×	×
საწარმოო პრაქტიკა		×	×	×	×	×

IX. სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსები /მოდულები/პრაქტიკა	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
1	ინგლისური ენა	5	40		55		5	25	125
2	ტურიზმისა და მასპინძლობის საფუძვლები	10	40		100	85	5	20	250
3	სასტუმროს მენეჯმენტი	20	50		210	200	10	30	500
4	სარესტორნო ოპერაციების მენეჯმენტი	5	30		40	40	5	10	125
5	სასტუმროს მენეჯმენტის სისტემა - Opera	10	30		100	90	5	25	250
6	სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	5	30		40	40	5	10	125
7	ბიზნესის ეთიკა და ეტიკეტი	5	20		80		5	20	125
	სულ	60	240		625	455	40	140	1500

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- ლაბორატორიულ მეცადინეობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

ცოდნის შეფასებისა და უნარ-ჩვევების მოცულობის ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ზეპირი გამოცდა, წერიტი გამოცდა, პრეზენტაცია, ტესტი, მოხსენება, საპრეზენტაციო ნაშრომი, თეზისი, უწყვეტი შეფასება, პორტფოლიო, ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი, დაკვირვება და დემონსტრირება და ა.შ.

ECTS-ის შეფასებათა ასქულიანი სისტემის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის ცოდნა ფასდება ხუთი სახის **დადებითი შეფასებით**:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100%;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61- 70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

არსებობს ორი სახის **უარყოფითი შეფასება**:

- **(FX) ვერ ჩააბარა** - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F) ჩაიჭრა** - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი ანუ საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუმუშავებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

XII. სწავლების მეთოდები

(სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები).

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- ლაბორატორიული სამუშაო
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
უცხო ენა პროფესიული	ნატალია სურგულაძე	ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი
ინტეგრაციული კომუნიკაციები (IC)	გელა მამულაძე	ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
ტურიზმის მარკეტინგი	კატრინ შვინსკი	ტურიზმის ექსპერტი
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	როსტომ ბერიძე	ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი
ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	კურტ ჰეინც რაიც	ტურიზმის ექსპერტი (CIM)
სასტუმროს მენეჯმენტი	კურტ ჰეინც რაიც	ტურიზმის ექსპერტი (CIM)
სარესტორნო ოპერაციების მენეჯმენტი	კატრინ ჰაუსბერგ	ტურიზმის ექსპერტი (CIM)
დაჯავშნის სისტემა - Opera	ზურა ჯიჯავაძე	BA მაგისტრი
სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	კატრინ შვინსკი	ტურიზმის ექსპერტი
მეტყველების ხელოვნება	ნანა მაკარაძე	პედაგოგიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
ბიზნესის ეთიკა და ეტიკეტი	მარინა კონცელიძე	ფილოლოგიის მაგისტრი
ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება	ქეთევან ბერიძე	ფსიქოლოგიის დოქტორი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიები, კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და შესაბამისი პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული კლასი სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელ-ფოსტა, რომლის მეშვეობით მათ ექნებათ მჭიდრო კავშირი ლექტორებსა და ტუტორებთან.

სასწავლო კვირა 5 დღიანია, სწავლა იწყება დილის 9 საათზე.

სიმულაციური და საქმიანი თამაშებისათვის შესაბამისი პროგრამებით აღიჭურვება კომპიუტერული კლასი.

პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ სპეციალური ლიტერატურით უზრუნველყოფილი უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკით.

XV. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ჩატარების პირობები და მოთხოვნები

პროფესიული სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით გათვალისწინებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლა. იგი ითვალისწინებს შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროფესიული სტუდენტები სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას გაივლიან მაღალი სტატუსის მქონე სასტუმროებში. ყველა პრაქტიკანტს ადგილზე ყავს კონსულტანტი და უნივერსიტეტიდან მიმაგრებული ლექტორი.

პრაქტიკის გავლის შემდეგ იწერება ანგარიში. საწარმოო პრაქტიკის პროგრამა შეიცავს სპეციალისტის პროფესიონალად ჩამოყალიბების ძირითად ამოცანებს, რომლის განხორციელებაც აისახება შემაჯამებელ პრაქტიკის ანგარიშში შემდეგი მოთხოვნებით:

- სატიტულო ფურცელი;
- პრაქტიკული დავალებების შესრულება;
- დიაგრამები, გრაფიკები, გათვლები;
- დასკვნები, რეკომენდაციები;
- დანართები.

საწარმოო პრაქტიკის ანგარიშს თანერთვის ამ ორგანიზაციის მენეჯერის დახასიათება. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია ხდება ორგანიზაციაში და ფასდება ECTS-ის სისტემით.

XVI. პროფესიის სპეციფიკური მოთხოვნები

სასტუმრო საქმისმწარმოებლის მიერ წაყენებული დამატებითი სპეციფიკური მოთხოვნებია:

- ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა; ფიზიკური ამტანობა;
- ხანგრძლივად, მინიმუმ რვა-ათი საათი ფეხზე დგომა;
- დამის საათებში მუშაობა;
- თავაზიანობა; მოთმენის უნარი; მოსმენის უნარი;
- დეტალურად ახსნისა და განმარტების მიცემის უნარი; კომუნიკაბელურობა;
- გამართული მეტყველება და მკაფიო არტიკულაცია;
- კონცენტრირების უნარი;
- კარგი მეხსიერება;
- გაუთვალისწინებელ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ზოგადი განათლება.

ინგლისური ენის ცოდნა საშუალო B2 დონეზე (Pre-intermediate level).

XVII. პროგრამით გათვალისწინებული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

- სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებისათვის პროფესიული სტუდენტები სისტემატიურად ახდენენ მის შეფასებას. რეკომენდაციები და კრიტიკა გაითვალისწინება პროგრამის სრულყოფის დროს.

- მონიტორინგის საფუძველზე ხდება ცვლილებების შემუშავება და აისახება სასწავლო კურსებში.

- ხდება სასწავლო პრაქტიკის ტრენინგული ნაწილის გაძლიერება.
- დისკუსიის მოწყობა სწავლების სრულყოფისათვის.
- უცხოეთის გამოცდილების გაზიარება და სხვა.
- პროგრამის შეფასების პროცესი მიმდინარეობს განუწყვეტლივ.

XVIII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიული პროგრამის მეხუთე საფეხური